ურთიერთშეთანხმება
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2020 წლის 11 აგვისტოს გაფორმებული № 27030309/20/41 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ._თბილისი იანვარი/2021 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“, წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი წოწკოლაურის სახით, მეორე მხრივ, სსიპ - „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო“, წარმოდგენილი დირექტორის, თამარ მელიქიძის სახით და მესამე მხრივ, **შპს ,სალიხ აბაშიძის , ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი” , წარმოდგენილი მისი დირექტორის, ციური აბულაძის სახით,** საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, მათ შორის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 აგვისტოს №509 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, „2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №828 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **2020 წლის 11 აგვისტოს გაფორმებული № 27030309/20/41** ხელშეკრულებაში (შემდგომში „ხელშეკრულება“) ცვლილების შეტანის თაობაზე და ვდებთ წინამდებარე ურთიერთშეთანხმებას შემდეგზე:

მუხლი 1.
„ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „შემსყიდველი“ მხარე – საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „სოციალური მომსახურების სააგენტო“ შეიცვალოს საჯარო სამართლის იურიდიული პირით - „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო“, 2021 წლის 01 იანვრიდან.

მუხლი 2.
„ხელშეკრულების“ მოქმედების ვადად განისაზღვროს 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით პერიოდი.

მუხლი 3.
წინამდებარე ურთიერთშეთანხმება წარმოადგენს „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს, მის დამატებას და მისი ინტერპრეტირება შესაძლებელია კანონმდებლობის შესაბამისად, მხოლოდ „ხელშეკრულებასთან“ ერთად.

მუხლი 4.
წინამდებარე ურთიერთშეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5.
წინამდებარე ურთიერთშეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან ელექტრონული შტამპით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონულ ვერსიას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

მუხლი 6. მხარეთა ხელმოწერები

„სააგენტო“
სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“
მის: ქ. თბილისი აკაკი წერეთლის გამზირი №144
ს/ნ: 202178927

LEPL SOCIAL SERVICE AGENCY
Digitally signed by LEPL SOCIAL SERVICE AGENCY
Date: 2021.01.29 18:38:28 +04'00'

გიორგი წოწკოლაური
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

„ეროვნული სააგენტო“
სსიპ „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო“
მის: ქ. თბილისი აკაკი წერეთლის გამზირი №144
ს/ნ: 200294519

LEPL National Health Agency
Date: 2021.01.30 18:23:25 +04'00'

თამარ მელიქიძე
დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი
ბათუმი, ქათამაძის ქ. №11
საიდენტიფიკაციო კოდი №245418392

ციური აბულაძე

"SALIKH ABASHIDZE INFECTIOUS DISEASES, AIDS & TUBERCULOSIS REGIONAL CENTER" LTD
Digitally signed by "SALIKH ABASHIDZE INFECTIOUS DISEASES, AIDS & TUBERCULOSIS REGIONAL CENTER" LTD
Date: 2021.02.02 13:06:13 +04'00'